# ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396


№ 3-12/13148151-16 18. 06. 2013 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში ჩოლოყაშვილის ქ.№53-ში, (საკ.კოდი №01.17.14.001.194) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (უმაღლესი სასწავლებლის მიზნით არსებული შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/20130-16 20.03.2013წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2013 წლის 28 მაისს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს განცხადებით მომართა მოქ. ვალენტინა საყვარელიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ.№53-ში, (საკ.კოდი №01.17.14.001.194) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (უმაღლესი სასწავლებლის მიზნით არსებული შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/20130-16 20.03.2013წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანა. კერძოდ №ბ-12/20130-16 ბრძანების სამოტივაციო ნაწილში მითითებული წითელი ხაზის დარღვევების ამოღება, რადგან განმცხადებლის განმარტებით წითელ ხაზთან დაკავშირებული დარღვევები გამოსწორებულია. სამსახურის სპეციალისტების მიერ საკადასტრო წითელი ხაზის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად დადგინდა რომ №ბ-12/20130-16 ბრძანების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული საკადასტრო წითელი ხაზის დარღვევა გამოსწორებულია ნაწილობრივ, კერძოდ მხოლოდ შენობის ნაწილში. (საქმეშია ცნობა 31.05.2013წ.).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად "ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს", ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ,,ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით".

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან №ბ-12/20130-16 ბრძანებაში ასახული საკადასტრო წითელი ხაზის დარღვევა შენობის ნაწილში გამოსწორებულია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილების შეტანა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების, შესაბამისად

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/20130-16 20.03.2013წ. ბრძანებაში და ბრძანების სამოტივაციო ნაწილში მითითებული წინადადების ,,შენობის და ღობის ნაწილი გასულია საკადასტრო წითელი საზღვრიდან" ნაცვლად მიეთითოს წინადადება ,,ღობის ნაწილი გასულია საკადასტრო წითელი საზღვრიდან."

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/20130-16 20.03.2013წ. ბრძანებასთან ერთად.

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

**საფუძველი:** №12/13148151-16 28.05.2013წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი